აპლიკაციით სარგებლობის წესები და პირობები

(მიმწოდებლისათვის)

წინამდებარე დოკუმენტი (შემდგომში - შეთახმება) არეგულირებს მიმწოდებელსა და კომპანიას შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის წესებსა და პირობებს.

ტერმინთა განმარტება

- **კომპანია** - ------AUTOPIA.GE----------
- **აპლიკაცია** - კომპანიის მიერ შექმნილი ვებ გვერდი, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს პოტენციურ დამკვეთსა და პროდუქტის მიმწოდებელს.
- **მომხმარებელი** - ვებ გვერდზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც ვებ გვერდის საშუალებით აწვდის ან იღებს მომსახურებას.
- **მიმწოდებელი** - ვებ გვერდზე რეგისტრირებული ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც ვებ გვერდის მეშვეობით ახორციელებს პროდუქტის მიწოდებას.
- **დამკვეთი** - ვებ გვერდზე რეგისტრირებული ან არარეგისტრირებული ფიზიკური/იურიდიული პირი, რომელიც ვებ გვერდის მეშვეობით ახორციელებს მისთვის სასურველი მომსახურების არჩევას და შემდგომში დაკვეთას.
- **მომსახურების შეთავაზება** - მიმწოდებლის მიერ, მის კუთვნილ გვერდზე განთავსებული მომსახურება, რომელიც უნდა შეიცავდეს მომსახურების აღწერას და მომსახურების გაწევის პირობებს.
- **დაკვეთა** - დამკვეთის მიერ მისი კუთვნილი გვერდიდან შესაბამისი მომსახურების არჩევა და მიმწოდებლისათვის დაკვეთა.

ვებ-გვერდით სარგებლობის წინაპირობები

ვებ-გვერდით სარგებლობისთვის აუცილებელია მიმწოდებელი აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

- მიმწოდებელი უნდა წარმოადგენდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ფიზიკურ პირს.
- მიმწოდებელი აპლიკაციის გამოყენებით, და აპლიკაციაზე განთავსებული ღილაკის „ვეთანხმები ვებ გვერდით სარგებლობის წესებსა და პირობებს“ ეთანხმება შეთანხმების ყველა პირობას.
- მიმწოდებელმა რეგისტრაციისას უნდა შეავსოს ვებ გვერდზე განთავსებული ყველა სავალდებულო ველი და მიუთითოს მხოლოდ დადასტურებული, უტყუარი ინფორმაცია.

- მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ვებ გვერდზე მისი რეგისტრაცია ხდება, ყოველგვარი იძულების, მუქარის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეგავლენის გარეშე საკუთარი ნების შესაბამისად;
- მიმწოდებელი თანხმობას იძლევა რეგისტრაციისას მითითებული პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- მიმწოდებელი ადასტურებს და გარანტიას იძლევა, რომ კუთვნილ გვერდზე განთავსებული ინფორმაცია არის სრული, სწორი და ნამდვილი, ასევე, იღებს ვალდებულებას აპლიკაციით სარგებლობისას, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, დამკვეთის პროფილის შექმნისას ან/და დაკვეთის განთავსებისას ან ასეთი განთავსების შემდგომ მიწოდებულ მონაცემთა ცვლილებების შემთხვევაში დროულად შეიტანოს ცვლილებები მომხმარებლის პროფილში რედაქტირების გზით.

1. **შეთახმების საგანი**
   1.1. შეთანხმების საფუძველზე მიმწოდებლის ვებ გვერდზე რეგისტრაციის შემდგომ, კომპანია მიმწოდებელს შესაძლებლობას აძლევს სრულად ისარგებლოს ვებ გვერდით.
   1.2. დაკვეთის გაუქმების/მომსახურების მიუღებლობის ან ხარისხთან შეუსაბამო მომსახურების შემთხვევაში სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს. აღნიშნულთან დამკვეთი უფლებამოსილია ნებისმიერი სახის პრეტენზია წაუყენოს მხოლოდ მიმწოდებელს.
   1.3.მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ვერიფიკაციისთვის აუცილებელი მონაცემების (მომხმარებელი/პაროლი) უსაფრთხოდ შენახვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მომხმარებლის გვერდის უკანონო სარგებლობა.
   1.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს გაუჩნდება ეჭვი, რომ მისი პირადი გვერდის მოხმარება ხორციელდება მისი ნებართვის გარეშე უკანონოდ, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას აღნიშნულის შესახებ და მოითხოვოს მისი პირადი გვერდის დაბლოკვა. კომპანია ვალდებულია აღნიშნული შეტყობინების მიღებიდან --1-- საათის განმავლობაში მოახდინოს მომხმარებლის გვერდის დაბლოკვა და ახალი მონაცემების მიწოდება, რითაც მიმწოდებელს საშუალება მიეცემა ხელახლა გაიროს ვერიფიკაცია. კომპანია იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიღებამდე განხორციელებულ ოპერაციებზე.
   1.5. კომპანია უფლებას იტოვებს მიმწოდებელთა მხრიდან ნებისმიერი საეჭვო ოპერაციის/ქმედების შემჩნევისას ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე მოახდინოს მომხმარებლის გვერდის დაბლოკვა.

1.6. კომპანია უფლებამოსილია დაბლოკოს მიმწოდებლის მიერ ისეთი მომსახურების განთავსება, რომელიც აკრძალულია კანონით და ეწინააღმდეგება მორალურ და ზნეობრივ ნორმებს.

2. გარანტიები

2.1.მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ:

- ვებ გვერდზე რეგისტრაცია და შეთანხმებაზე დათანხმება ხორციელდება ყოველგვარი იძულების, მოტყუების და მუქარის გარეშე, როგორც კომპანიის ასევე მესამე პირების მხრიდან;
- შეთანხმების მოქმედების პერიოდის განმავლობაში დაიცავენ ნაკისრ ვალდებულებებს და მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომებს შეთანხმების მიზნების მისაღწევად.
- ვებ გვერდზე რეგისტრაცია არ არის მიმართული კომპანიის მოტყუებისკენ და მის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია არის ზუსტი და უტყუარი.
- მის მიერ შეთავაზებული მომსახურება არ ეწინააღმდეგება საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ნორმებს.
- მის მიერ შეთავაზებული მომსახურება არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ და მორალურ ნორმებს.
- ზემოაღნიშნული გარანტიების ნებისმიერი დაუცველობა ავტომატურად გამოიწვევს შეთანხმების გაუქმებას და მომხმარებლის დაბლოკვას.

2.2.წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გარანტიები ძალაშია ნაკისრი ვალდებულებების სრულად დ ჯეროვნად შესრულებამდე.

2.3.მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას იმ გარემოებების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს ან შეიძლება გამოიწვიოს გარანტიების დარღვევა.

2.4. მიმწოდებელი სრულად აცნობიერებს, რომ კომპანია დებს/დადებს შეთახმებას, წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული გარანტიების საფუძველზე.

3. პასუხისმგებლობა

მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან/და ნაწილობრივ შეუსრულებლობით მიყენებული ზიანი სრული ოდენობით, რაც არ ათავისუფლებს მხარეს შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებისგან.

4. ანგარიშსწორება

4.1.მომსახურების ღირებულებიდან კომპანია საკომისიოს სახით იღებს -18--- %-ს.

4.2. დამკვეთის მხრიდან დაკვეთის გაფორმების შემდგომ რაც გულისხმობს დამკვეთის მხრიდან საბანკო რეკვიზიტების მითითებასაც, კომპანია ახორციელებს მომსახურების ღირებულების ფარგლებში თანხის ბლოკირებას. ბლოკირებული თანხის ჩამოჭრა ხორციელდება დაკვეთის (მომსახურების მიღება) დასრულების შემდგომ.

5. კომუნიკაციის წესი

5.1. კომუნიკაციისთვის მიმწოდებელი იყენებს მომხმარებლის გვერდზე მითითებულ ტელეფონის ნომერს, ელ. ფოსტას ან/და ოფიციალური ფაქტობრივ მისამართს.

5.2. თითოეული მხარე ვალდებულია მისამართების ან/და კომუნიკაციის საშუალების ნებისმიერი ცვლილების შესახებ დროულად შეიტანოს ცვლილება პირად გვერდზე, ხოლო დამოუკიდებლად ცვლილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დაუყოვნებლის აცნობოს კომპანიას, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე/ელ. ფოსტაზე/ საკონტაქტო ტელეფონზე განხორციელებული ქმედება ჩაითვლება ლეგიტიმურად.

5.3. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მხრიდან მისი მიღების დღეს, თუ ადრესატი ადასტურებს შეტყობინების მიღებას. შეტყობინება მიღებულად ითვლება ასევე იმ შემთხვევაშიც, თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან/ თავს აარიდებს მის მიღებას.

6. კონფიდენციალობა

6.1. თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს შეთანხმებაში აღნიშნული ინფორმაცია (როგორც კომერციული, ისე არა კომერციული), ასევე ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს და ეხება წინამდებარე სახელშეკრულებო ურთიერთობას, დაკავშირებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან, რაიმე კონკრეტულ სამუშაოსთან და/ან ზოგადად, ორგანიზაციის საქმიანობის დეტალებთან.

6.2. ერთი მხარის მიერ, მეორე მხარის თანხმობის გარეშე, სახელშეკრულებო საქმიანობასთან დაკავშირებული და/ან ამ საქმიანობის შედეგად მიღებული ნებისმიერი ინფორმაციისა და დეტალის გავრცელება ნებისმიერი სახით (ზეპირად თუ წერილობით, პირდაპირ თუ ირიბად, კონკრეტული პირის ან პირების მიმართ, თუ მასობრივი საშუალებებით, ფართო საზოგადოების მიმართ, მასმედიის ნებისმიერი წყაროთი (მათ შორის ელექტრონული მედია-ინტერნეტი)

ჩაითვლება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად და მხარე უფლებამოსილი იქნება მოსთხოვოს დამრღვევ მხარეს ზიანის ანაზღაურება.

6.3. კონფიდენციალურ ინფორმაციად ითვლება ნებისმიერი კომერციული ინფორმაცია, რომელიც გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

6.4. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფიდენციალურობა და არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია მაშინაც კი, თუ ისინი შეწყვეტენ შეთანხმებას. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს და სავალდებულოა იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზეზით შეწყდა მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობები. მხარეები თანხმდებიან, რომ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება ძალაშია შეთანხმების ამოქმედებისთანავე და სახელშეკრულებო ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ 3 (სამი) წლის განმავლობაში.

6.5. სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება არ ჩაეთვლებათ მხარეებს შეთანხმების დარღვევად თუ გამჟღავნებული ინფორმაციის გავრცელებას მხარეს ავალდებულებდა კანონმდებლობა.

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვა

7.1. კომპანია უზრუნველყოფს მიმწოდებლის პერსონალურ მონაცემთა დაცვას.

7.2. კომპანია უფლებამოსილია დაამუშაოს მიმწოდებლის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, განათლების ან/და სპეციალობის დამადასტურებელი დოკუმენტის ავთენტურობა და შესაბამისობა აპლიკაციაზე განთავსებული მომსახურების სპეციფიკასთან, ასევე ხელმოწერა და სხვა ნებისმიერი მონაცემი, რომელიც კომპანიისთვის ცნობილი გახდა სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში. ასევე, წინამდებარე შეთანხმებაზე თანხმობის გაცხადებით და ღილაკის მონიშვნით „ვეთანხმები აპლიკაციით სარგებლობის წესებსა და პირობებს“ მიმწოდებელი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია და გამოხატავს თანხმობას, რომ კომპანიამ დაამუშაოს შეთანხმების განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალური მონაცემების დამუშავება.

7.3. კომპანია უფლებამოსილია მიმწოდებლის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მესამე პირს მიმწოდებლის მიერ შეთანხმების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად კომპანიის უფლებების განხორციელების მიზნით. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანია უფლებამოსილია გადასცეს მიმწოდებლის შესახებ ინფორმაცია მესამე პირებს, კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოებს მოთხოვნის შემთხვევაში, პროკურატურის სტრუქტურაში შემავალ პირებს, გამომძიებელს, პროკურორს და ა.შ. მოთხოვნის შემთხვევაში.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია დამუშავებული მონაცემის თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება – თუ ამ მუხლით განსაზღვრული მონაცემები არ შეესაბამება სინამდვილეს.

7.5. კომპანიის მიერ ამ მუხლით განსაზღვრული პერსონალური მონაცემების შენახვის ვადაა შეთანხმების მოქმედების მთელი პერიოდი და ამ შეთანხმების გაუქმებიდან/შეწყვეტიდან არაუმეტეს 3 (სამი) წელი.

8. პრეტენზიები და დავათა მოგვარება

8.1. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი სახის პრეტენზია შეიძლება წაყენებულ იქნას როგორც წერილობითი ასევე ზეპირი სახით. პრეტენზიის მიმღები მხარე ვალდებული პრეტენზიის წაყენებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მოთხოვნა ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მხარეს პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

8.2. შეთანხმებიდან გამომდინარე ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა მოლაპარაკებით, ხოლო ასეთი მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს შესაბამისი იურისდიქციის სასამართლო.

9. შეთანხმების მოქმედების ვადა, შეწყვეტა და შეჩერება

9.1. შეთანხმება ძალაში შედის მიმწოდებლის აპლიკაციაში რეგისტრაციიდან და მოქმედებს მიმწოდებლის აპლიკაციით სარგებლობის მთელ პერიოდზე.

9.2. შეთანხმების შეწყვეტა შესაძლებელია:

- მიმწოდებლის განცხადების საფუძველზე პირადი გვერდის გაუქმების შემთხვევაში;
- კომპანიის გადაწყვეტილების საფუძველზე პირადი გვერდის გაუქმების შემთხვევაში;
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

9.3. შეთანხმების მოქმედება შეიძლება შეჩერდეს:

- მიმწოდებლის პირადი გვერდის დროებითი დაბლოკვის შემთხვევაში, რაც გამოწვეული უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით.

10. ცვლილებები და დამატებები

10.1. შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება კომპანიის მიერ ცალმხრივად, მიმწოდებლის თანხმობის გარეშე.

10.2. განხორციელებული ცვლილება ძალაში მისი აპლიკაციაში განთავსებიდან ---- ---- სამუშაო დღის შემდეგ. მიმწოდებელს შესაძლებლობა აქვს აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლამდე გაეცნოს შეთანხმების ცვლილებებსა და დამატებებს.

10.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ ეთანხმება ცვლილებებსა და დამატებებს მას უფლება აქვს მიმართლოს კომპანიას პირადი გვერდის გაუქმების მოთხოვნით, რაც ავტომატურად გამოიწვევს შეთანხმების შეწყვეტასაც.

10.4. შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

11. სხვა პირობები

11.1. მიმწოდებელი ადასტურებს, რომ შეთანხმების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ნების გამოვლენა მოხდა შეთანხმების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა–სიტყვითი მნიშვნელობიდან, ყოველგვარი იძულებისა და ზეგავლენის გარეშე.

11.2. შეთანხმების ნაწილის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად შეთანხმების ან მისი სხვა ნაწილის ბათილობას, თუ შეთანხმება შეიძლება არსებობდეს მისი ბათილი ნაწილის გარეშე. ბათილი დებულების ნაცვლად გამოიყენება იმგვარი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა შეთანხმებით (მათ შორის, ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.

11.3. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, რომელიც განთავსებულია აპლიკაციის სისტემაში, მიმწოდებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ვეთანხმები